1402/3-98/22 2 16022022

1402/3-98/22
16-02-2022

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს

საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის 1-ლი პუნქტისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის შესაბამისად, მოგმართავთ საქართველოს პარლამენტის წევრის კითხვით:

გთხოვთ, მომაწოდოთ ინფორმაცია, რამდენი პირი იმყოფება ძებნაში 2004 წლის 1 იანვრამდე ჩადენილი დანაშაულისათვის და სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ რომელ დანაშაულებში არიან ისინი ბრალდებულნი?

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
დავით უსუფაშვილი

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF GEORGIA

MIA 7 22 00881137

04/04/2022

**საქართველოს პარლამენტის წევრს**
**ბატონ დავით უსუფაშვილს**

**ბატონო დავით,**

2022 წლის №1402/3-98/22 წერილის პასუხად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (შემდგომში-სამინისტრო) საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, კომპეტენციისა და აღრიცხვიანობის ფარგლებში გაცნობებთ, რომ დღევანდელი მდგომარეობით მთლიანად, ძებნილ პირთა საერთო რაოდენობა შეადგენს - 2739 პირს. აღრიცხვიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, შეუძლებელია იმ ძებნილ პირთა რაოდენობის ზუსტი ციფრის განსაზღვრა, რომელთაც დანაშაული ჩაიდინეს 2004 წლის 1 იანვრამდე პერიოდში, ვინაიდან სამძებრო საქმის შექმნის თარიღი ყველა შემთხვევაში არ არის თანხვედრაში დანაშაულის ჩადენის დროსთან. შესაბამისად, მოკლებულნი ვართ შესაძლებლობას სრულყოფილად მოგაწოდოთ თქვენს მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია.

**პატივისცემით,**

შ.ს.ს.
მინისტრის მოადგილე
ალექსანდრე დარახველიძე

0114, თბილისი, გულუას ქ.10 ტელ.: (+995 32) 2411068 / ფაქსი: (995 32) 2411005
10, G.Gulua str, Tbilisi 0114, Georgia, Tel.: (+995 32) 2411008 / Fax: (+995 32) 2411005
www.police.ge; e-mail: police@mia.gov.ge